თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის სხდომის

ოქმი N 11

ქ. თელავი 2019 წლის 23 სექტემბერი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე: დავით ღაღანიძე

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გიორგი ჩაბრაშვილი, ზაქარია ყარასაშვილი, ბესიკ გაიპარაშვილი, გოჩა წაწალაშვილი, ვასილ არაბული, ალექსანდრე კუპატაძე, არჩილ თვალიაშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება - მწვანეები''-ს თავმჯდომარის მოადგილე გიგა მამუკელაშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის ძეგლთა დაცვის განყოფილების უფროსი ვახტანგ გაგნიძე.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 იანვრის N04 განკარგულებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის ძეგლთა დაცვის 2019 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ'' ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. დ. ღაღანიძე

მოისმინეს: 1 თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 იანვრის N04 განკარგულებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის ძეგლთა დაცვის 2019 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ'' ცვლილების შეტანის თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: დავით ღაღანიძემ მიმართა მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის ძეგლთა დაცვის განყოფილების უფროსს გაეკეთებინა განმარტება პროგრამაში ცვლილებასთან დაკავშირებით.

როგორც ვახტანგ გაგნიძემ აღნიშნა, პროექტში ცვლილება გამოწვეულ იქნა მიმდინარე წელს განხორციელებული ღონიძიებების შედეგად დარჩენილი ეკონომიების საფუძველზე. კერძოდ:

- ყორჩიბაშვილების ჩრდილო-აღმოსავლეთი ბურჯის რეაბილიტაციიდან-1166 ლარი.
- ყორჩიბაშვილების სამხრეთ-აღმოსავლეთ ბურჯის რეაბილიტაციის პროექტის შესყიდვიდან -1045 ლარი.
- დაბახნების არქეოლოგიური სამუშაოებიდან -14563 ლარი.
- არქეოლოგიური ობიექტის გადახურვიდან (დაბახნები)-238ლარი.
- კვირიკეს ციხე (ძვ.გალავანი) არქეოლოგიიდან-7200 ლარი.
- კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული საგამომცემლო საქმიანობიდან ,,თელავის მატიანე''-1434 ლარი.
- კულტურული მემკვიდრეობის მოვლისა და დასუფთავების ხარჯიდან (,,ძველი აბანოს დასუფთავება-შემოღობვა)-1420 ლარი
- ავარიული დამცავი ბადეების შეძენიდან -44 ლარი .

სულ ჯამში დარჩენილია 27 110 ლარის ეკონომია, საიდანაც 20 500 ლარი უნდა მიემართოს დაბახნების არქეოლოგიურ სამუშაოებზე მისი გაგრძელების მიზნით (500 ლარი გათვალისწინებული იქნება აღნიშნული სამუშაოების პროექტის შესყიდვისათვის, ხოლო სამუშაოების წარმოებისათვის 20000 ლარი). დარჩენილი 6610 ლარი კი მოხმარდება ძველი გალავნის ,,კვირიკეს ციხის'' განათების გაძლიერებას, რაც გულისხმობს ახალი პროჟექტორების ჩამატებას.

აღნიშნული ცვლილების პროექტის განხორციელება გავლენას არ იქონიებს პროგრამის მთლიან ბიუჯეტზე.

გადაწყვიტეს: კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ წარმოდგენილი სახით პროექტი წარედგინოს საკრებულოს განსახილველად.

კომისიის თავმჯდომარე _____ დავით ღაღანიძე